



3468869717303

www.info.court.ge

საქმე №2/10861-15



**დაუსწრებელი
გადაწყვეტილება**

მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო

საქართველოს სახელით

15 ივნისი, 2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ქეთევან კუჭავა
სხდომის მდივანი თამარ გეგიძე

მოსარჩელე - გიორგი კლდიაშვილი

წარმომადგენელი - დავით ლომთაძე

მოპასუხე - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

წარმომადგენელი - შორენა პეტავა

დავის საგანი - ცილისმწამებლური ინფორმაციის გავრცელების გამო სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ

აღწერილობითი ნაწილი:

2015 წლის 05 ივნისს გიორგი კლდიაშვილმა სარჩელით მომართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ გავრცელებული ცილისმწამებლური ინფორმაციის უარყოფის თაობაზე.

სარჩელი ეფუძნება შემდეგ გარემოებებს:

2014 წლის 12 დეკემბერს გიორგი კლდიაშვილი დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა. დაკავებას საფუძვლად დაედო ის, რომ გიორგი კლდიაშვილის მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილის ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც იყო 4 ნაწილად დაშლილ მდგომარეობაში, ტყვიებისა და მჭიდის გარეშე. პირადი ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებს გიორგი კლდიაშვილმა განუმარტა, რომ მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლება, წარუდგინა მის სახელზე იარაღის რეგისტრაციის საბუთი, გამომძიების მსვლელობისას ნებაყოფილობით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, მონაწილეობა მიიღო საგამომძიებო მოქმედებებში და დაიკითხა მოწმის სახით, მაგრამ მიუხედავად მოსარჩელის მოქმედებებისა, პოლიციის თანამშრომლებმა გადაწყვიტეს მისი დაკავება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ მათ განუცხადა, რომ დაწერდა ხელწერილს, რომ არ მიიმალებოდა და საჭიროების შემთხვევაში გამოცხადდებოდა იქ, სადაც ისინი მიუთითებდნენ, მათ განუცხადეს, რომ გადაწყვეტილი იყო მოსარჩელე მოეთავსებინათ დროებითი დაკავების იზოლატორში, ე. წ. „მოდულის შენობაში“.

დაკავებიდან თითქმის 2 დღის გასვლის შემდეგ, 2014 წლის 14 დეკემბერს მოსარჩელე წარსდგა სასამართლოს წინაშე აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად. პროკურატურამ მოითხოვა აღკვეთის ღონისძიების სახით 3000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდება თანხის გადახდამდე მისი პატიმრობაში დატოვებით. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და აღკვეთის ღონისძიების სახით მოსარჩელეს განუსაზღვრა მხოლოდ გირაოს გადახდა 1500 ლარის ოდენობით, ხოლო იმის გამო, რომ სასამართლომდე მისი დაკავება იყო უკანონო, სასამართლო განჩინებით, დაკავებიდან გათავისუფლდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დადგინდა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს გიორგი კლდიაშვილის დაკავება იყო უკანონო და წარმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა გიორგი კლდიაშვილის დაკავებისა, რადგან საკუთარი ნებით მიიღო მონაწილეობა საგამომძიებო მოქმედებებში, რაც გამორიცხავდა შესაძლო მიმალვას.

2015 წლის 15 იანვრის წინასასამართლო სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მიიჩნია დაუშვებლად და ქმედებაში სისხლის სამართლის დანაშაულიდ ნიშნების არარსებობის გამო, შეწყვიტა წარმოება, რაც პროკურატურის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიაში. საგამომძიებო კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით, გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი.

2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიდო განცხადება შემდეგი სათაურით: „გიორგი კლდიაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი შსს-სა და „IDFI“-ს შორის არსებულ თანამშრომლობაზე

უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს (<http://police.ge/ge/giorgi-kldiashviltan-dakavshirebuli-intsidenti-shss-sa-da-/7499?print=1>). განცხადების ტექსტში საქმის ფაქტობრივი გარემოებები დამახინჯებულად და არასრულყოფილად იყო წარმოდგენილი, რითაც საზოგადოებას მოსარჩელის შესახებ მიეწოდა არასწორი ინფორმაცია, რითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაარღვია მისი უფლებები, კერძოდ, განცხადების ტექსტში აღნიშნული იყო, თუ როგორ დააკავეს შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა და როგო ამოიღეს ჩხრეკისას „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი. განცხადებაში აღინიშნა ისიც, რომ 12 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს და აღკვეთის ღონისძიების სახედ გირაოს შეფარდების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის შედეგად გათავისუფლდა.

გავრცელებულ ინფორმაციაში მოცემულია არასწორი და მოსარჩელის უფლების შემლახავი ფაქტობრივი გარემოებები: „ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის ავტომობილის და პირადი ჩხრეკისას „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს“. აღნიშნული გამონათქვამი არასწორია, რამდენადაც არ შეიცავს სრულყოფილ ინფორმაციას, კერძოდ, ჩხრეკისას და ამოღების ოქმში მითითებულია, რომ იარაღი იმყოფებოდა 4 ნაწილად დაშლილ მდგომარეობაში, რომელიც მოსარჩელეს მოჰქონდა ხელოსნისაგან. გავრცელებული განცხადებით კი იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსარჩელე არის კრიმინალი, რომელიც დადის ქუჩებში შეიარაღებული და საფრთხეს უქმნის საზოგადოებას.

მოსარჩელის მითითებით, ასევე ნაწილობრივ არასწორია განცხადება, რომ „გიორგი კლდიაშვილმა, ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ სამართალდამცველებს განუცხადა, რომ იარაღი იყო მისი საკუთრება და მას ჰქონდა ტარების უფლება“. იარაღი მართლაც მოსარჩელის საკუთრება იყო, მაგრამ სამართალდამცველებს წარუდგინა მისი შენახვის დამადასტურებელი მოწმობა და განცხადება იმის შესახებ, რომ მას პოლიციის თანამშრომლები შეცდომაში შეჰყავდა, არასწორია. განცხადებით, რომ“ მოგვიანებით, გამომიების პროცესში, დაკითხვისას, გიორგი კლდიაშვილმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი“, ილახება მოსარჩელის პატივი და ღირსება, რადგანაც საზოგადოება მას აღიქვამს, როგორც მატყუარას.

არასწორია განცხადება, რომ“ მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა გირაოს შესახებ დააკმაყოფილა და გიორგი კლდიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა“. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 დეკემბრის განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს მისი დაკავება იყო უკანონო და წარმართა კანონის მოთხოვნათა არსებითი დარღვევებით. სწორედ ეს გახდა მისი პატიმრობიდან გათავისუფლების საფუძველი და არა პროკურორის შუამდგომლობა.

ყველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოსარჩელემ მოითხოვა:

დაევალოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი ოფიციალურ ვებ-გვერდის მეშვეობით (www.police.ge) უარყოს მოსარჩელე გიორგი კლდიაშვილზე 2014 წლის 17 დეკემბერს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გავრცელებულ განცხადებაში (<http://police.ge/ge/giorgi-kldiashviltan-dakavshirebuli-intsidenti-shss-sa-da-/7499?print=1>) პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახავი შემდეგი გამონათქვამები:

„...ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის ავტომობილის და პირად ჩხრეკისას „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს...“

„...გიორგი კლდიაშვილმა, ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცავებს განუცხადა, რომ აღნიშნული იარაღი იყო მისი საკუთრება და მას ჰქონდა ტარების უფლება...“

„...მოგვიანებით, გამოძიების პროცესში, დაკითხვისას, გიორგი კლდიაშვილმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი...“

„...მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა გირაოს შესახებ დააკმაყოფილა და გიორგი კლდიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა...“

2017 წლის 15 ივნისს 16:00 საათზე აღნიშნული სარჩელის განხილვის მიზნით დანიშნულ სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხის წარმომადგენელი და არც გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის შესახებ წარმოდგენია განცხადება. მოსარჩელის წარმომადგენელმა დავით ლომთაძემ მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო იშუამდგომლა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ამასთან, სასამართლოს სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა მოპასუხეს დაევალოს სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სასამართლოს სხდომაზე არ გამოცხადდება მოპასუხე, რომელსაც გაეგზავნა შეტყობინება ამ კოდექსის 70–78-ე მუხლებით დადგენილი წესით, და მოსარჩელე შუამდგომლობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანაზე, მაშინ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე.

საქმის მასალებით დგინდება, რომ მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელს - შორენა პეტავას სასამართლო სხდომის თარიღისა და

დროის შესახებ ეცნობა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესების დაცვით, რაც დასტურდება ხელწერილით (ს.ფ. 131). მიუხედავად ამისა, მოპასუხე მხარე სხდომაზე არ გამოცხადდა.

დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მეორე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობა არასაკატიო მიზეზით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი მოიცავს ამომწურავ ჩამონათვალს, თუ როდის არის დაუშვებელი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა. მოპასუხეს არ წარმოუდგენია სასამართლოსათვის არანაირი ინფორმაცია მისი გამოუცხადებლობის თაობაზე, შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს, იყო თუ არა გამოუცხადებლობა გამოწვეული კანონით დადგენილი საკატიო მიზეზით.

სხდომაზე მოპასუხის გამოუცხადებლობის გამო დამტკიცებულად ითვლება სარჩელში მითითებული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2014 წლის 12 დეკემბერს გიორგი კლდიაშვილი დააკავეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა. დაკავებას საფუძვლად დაედო ის, რომ გიორგი კლდიაშვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილის ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებმა ამოიღეს „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც იყო 4 ნაწილად დაშლილ მდგომარეობაში, ტყვიებისა და მჭიდის გარეშე.

პირადი ჩხრეკისას პოლიციის თანამშრომლებს გიორგი კლდიაშვილმა განუმარტა, რომ მას ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლება, წარუდგინა მის სახელზე იარაღის რეგისტრაციის საბუთი, გამოძიების მსვლელობისას ნებაყოფილობით გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში, მონაწილეობა მიიღო საგამოძიებო მოქმედებებში და დაიკითხა მოწმის სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის განჩინებით, ბრალდებულ გიორგი კლდიაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 1500 ლარის ოდენობით და იგი დაუყოვნებლივ გათავისუფლდა დაკავებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით დადგინდა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს გიორგი კლდიაშვილის დაკავება იყო უკანონო და წარიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა გიორგი კლდიაშვილის დაკავებისა, რადგან საკუთარი ნებით მიიღო მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში, რაც გამორიცხავდა შესაძლო მიმალვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2015 წლის 15 იანვრის განჩინებით, ბრალდებულ გიორგი კლდიაშვილის

მიმართ შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა და გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის განჩინებით გიორგი კლდიაშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით, საქართველოს მთავარი პროკურატურის პროკურორის საჩივარი არ დაკმაყოფილდა - თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის განჩინება დარჩა უცვლელი.

2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე დაიდო განცხადება შემდეგი სათაურით: „გიორგი კლდიაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი შსს-სა და „IDFI“-ს შორის არსებულ თანამშრომლობაზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს (<http://police.ge/ge/giorgi-kldiashviltan-dakavshirebuli-intsidenti-shss-sa-da-/7499?print=1>). განცხადებაში აღნიშნულია შემდეგი:

„შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამომიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის ავტომობილის და პირადი ჩხრეკისას "პარაბელუმი"-ს სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს. გიორგი კლდიაშვილმა, ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცველებს განუცხადა, რომ აღნიშნული იარაღი იყო მისი საკუთრება და მას ჰქონდა ტარების უფლება. მოგვიანებით, გამოძიების პროცესში, დაკითხვისას, გიორგი კლდიაშვილმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რის შემდეგაც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით, გიორგი კლდიაშვილი 12 დეკემბერს ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარების ბრალდებით დააკავეს. დაკავებული დროებითი მოთავსების იზოლატორში გადაიყვანეს. 14 დეკემბერს გაიმართა სასამართლო პროცესი, სადაც მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა გირაოს შესახებ დააკმაყოფილა და გიორგი კლდიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა.“

განცხადება შეიცავს ზიანის მიმყენებელ, არსებითად მცდარ და არასრულ ფაქტებს მოსარჩელის შესახებ, რითაც ილახება მისი პატივი და ღირსება, კერძოდ, ჩხრეკისა და ამოღების ოქმში მითითებულია, რომ ამოღებული იარაღი იმყოფებოდა 4 ნაწილად დაშლილ მდგომარეობაში, რომელიც დავით კლდიაშვილს მოჰქონდა ხელოსნისაგან, იარაღი მართლაც იყო მოსარჩელის საკუთრება და მან სამართალდამცველებს წარუდგინა იარაღის შენახვის უფლება, მის მიერ პოლიციის თანამშრომლების შეცდომაში შეყვანას ადგილი არ ჰქონია. მოსარჩელის სასამართლოს დარბაზიდან გაათავისუფლებას საფუძვლად დაედო მისი დაკავებისას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა არსებითი დარღვევა და არა პროკურორის შუამდგომლობა აღკვეთი ღონისძიების სახით გირაოს შეფარდების თაობაზე.

სასამართლომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 230-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შეაფასა სარჩელში

მითითებული და დამტკიცებულად ჩათვლილი ფაქტობრივი გარემოებები და გააკეთა დასკვნა, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის საბჭოს კონვენციის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, ამავე კოდექსის 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ეს გარემოებები იურიდიულად ამართლებენ მოსარჩელის მოთხოვნას, ამასთან, არ არსებობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 233-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის დაუშვებლობის საფუძველი, აღნიშნულიდან გამომდინარე სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სახელმწიფო ხარჯის საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს მის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის - 100 ლარის ანაზღაურება.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 230-ე, 233-ე, 236-ე, 237-ე, მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიღებულ იქნეს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და მოსარჩელე გიორგი კლდიაშვილის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. დაევალოს მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის განმავლობაში, თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.police.ge) სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ შემდეგი სახით ცნობის გამოქვეყნება:

სასამართლო განხილვის შედეგად დადგინდა, რომ 2014 წლის 17 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გიორგი კლდიაშვილის შესახებ გავრცელებული შემდეგი განცხადებები:

„...ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის ავტომობილის და პირადი ჩხრეკისას „პარაბელუმის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ამოიღეს...“; „...გიორგი კლდიაშვილმა, ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ, სამართალდამცავებს განუცხადა, რომ აღნიშნული იარაღი იყო მისი საკუთრება და მას ჰქონდა ტარების უფლება...“; „...მოგვიანებით, გამოძიების პროცესში, დაკითხვისას, გიორგი კლდიაშვილმა ვერ წარმოადგინა აღნიშნული ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი...“; „...მოსამართლემ პროკურორის შუამდგომლობა გირაოს შესახებ დააკმაყოფილა და გიორგი კლდიაშვილი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლა...“ --- შეიცავს არსებითად მცდარ ფაქტებს მოსარჩელე გიორგი კლდიაშვილის შესახებ.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსარჩელე გიორგი კლდიაშვილის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა 100 ლარის ოდენობით;

4. მოპასუხეს გაეგზავნოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი და განემარტოს, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით შეუძლია შემოიტანოს საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოში 10 (ათი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით ჩაბარდება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ასლი. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსწრებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში;

მოსამართლე:

ქეთევან კუჭავა